საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №269
2023 წლის 14 ივლისი

ქ. თბილისი

სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე 2024-2025 წლებში ეტაპობრივად გადასვლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილისა და 114^6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების (შემდგომში – სახელმწიფო საწარმო) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახურის (შემდგომში – სახაზინო სამსახური) მომსახურებაზე 2024-2025 წლებში ეტაპობრივად გადასვლის მიზნით:

ა) სახელმწიფო საწარმოების სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადასვლის პირველი ეტაპი დაიწყოს არაუგვიანეს 2024 წლის 1 ივლისისა და 2025 წლის 1 იანვრამდე, სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადავიდეს არანაკლებ 5 სახელმწიფო საწარმო;

ბ) სახელმწიფო საწარმოების სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადასვლის მეორე ეტაპი დაიწყოს 2025 წლის 1 იანვრიდან და 2025 წლის 1 ივლისამდე, სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადავიდეს არანაკლებ 160 სახელმწიფო საწარმო;

გ) სახელმწიფო საწარმოების სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადასვლის მესამე ეტაპი დაიწყოს 2025 წლის 1 ივლისიდან და 2026 წლის 1 იანვრამდე, სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადავიდეს ამ ეტაპის დაწყების მომენტისთვის დარჩენილი ყველა სახელმწიფო საწარმო, რომელიც პირველ ან მეორე ეტაპზე არ გადასულა სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე.

მუხლი 2

სახელმწიფო საწარმოების სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადასვლის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სახაზინო სამსახურმა, სსიპ – საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო და ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტებმა, სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად, უზრუნველყონ სახელმწიფო საწარმოებისთვის შესაბამისი ტრენინგ-სწავლების ჩატარება.

მუხლი 3

სსიპ – საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა, სახაზინო სამსახურთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტთან ერთად უზრუნველყოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში და ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში სათანადო ფუნქციონალური ცვლილებების შეტანა, საჭიროების შესაბამისად.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**